ფასი 7 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშადური

№ 3. ყოველკვირეული ჟურნალი 1907 წ.

ამ საერთო უბედურების გამო, რომელიც თავს დაატყდა ჩვენს ქვეყანას, ჟურ. „ნიშადური“ ამ კვირას გამოდის ორ გამოცემად №№ 3 და 4—ერთი ხუთშაბათს, მეორე კვირას, ფასი თითო ცალისა—შვიდი კაპ. ყველგან.

† 30 აგვისტოს, 1907 წ.

ოლღა თადეოზ გურამიშვილის ასული ჭავჭავაძისა

მძიმედ დაჭრილი ქმრის მოკვლის დროს 30 აგვისტოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებულ ილიას

„შაბაშ სიტყვა, შაბაშ კაცი, შაბაშ საქმე მისგან ქმნილი!“
შ. რუსთაველი.

დღეს, პარასკევს ნაშუადღევს საგურამოდგან ჩამოასვენებენ საქართველოს დედა ქალაქში—ტფილისში ილია ჭავჭავაძის ძვირფასს მცხედარს, რომელსაც ზეგ წმინდა დავითის მთა დედაშვილურად მაგრად ჩაიხუტებს თავის გულმკერდში...

ეგ ჩახუტება იქნება ხანგრძლივი, საუკუნო, სამარადისო!..

დიდი სიყვარული, ვითარცა დიდი ტანჯვა ჩუმი და უტყვია ხოლმე.

ჩვენი უსაზღვრო სიყვარული და ამ სიყვარულის უსაზმრო შელახვისაგან გამოწვეული ვაჰე-ვაება შესაფერ სიტყვებს ვერ პოულობს სულის სიღრმიდან ამოხეთქილი მწვავე გრძნობათა გამოსათქმელად.

მაგრამ გული, ბოღმითა და ნაღვლით აღვსილი, თავისას მაინც არ იშლის და გაალმასებულის კვნესით ლამობს ყველას შესჩივლოს, თუ რა წარმოუდგენელი და ზარდამცემი უბედურება თავს დაატყდა ქართველობას.

ჩვენ ვგოდებთ და ვტირით ილიას, ვკვნესით და ვიმდურებით იმის დაკარგვაზე და ამავე დროს გამწარებულის მრისხანებით ვიქუშებით იმათზე, რომელთაც ილიას დაკარგვა არაფრათ მიუჩნევიათ.

უეჭველია, არაფრად მიაჩნდათ, თუ კი გაიმეტეს და დახერიტეს მისი ღვთაებრივი შუბლი.

ვინც უნდა იყვნენ ჩვენი ერის მგმობელნი—პოეტის მკვლელნი, ფაქტი მაინც ფაქტად რჩება: ყველას კი არ ეძვირფასებოდა ილია, ყველას კი არ მიაჩნდა საჭიროდ მისი სიცოცხლე.

მაგრამ მოვა დრო, გაივლის ხანი და **ყველანი** მუხლს მოიყრიან ილიას წინაშე. **ყველა** იტირ—იგლოვებს ილიას დაკარგვას! ამის თავდებია თვით ილია და მისი ბუმბერაზობა.

თვითონ ილია კი,—ჩვეულებრივად ალუშფოთველი, მტკიცე და კეთილშობილი, თავის მშვენიერის და შორს მჭვრეტელის თვალებით, პირზე ღიმ მორეული, დინჯი და მშვიდობიანი, ჰკუა ნათელი და სხივოსანი,—აუჩქარებლივ მოელოდება იმ დროსა და ჟამს, როცა **ყველანი** აღიმართებიან და ავლენ „მთაწა მაღალსა“ მის ფერხთა წინაშე ქედის მოსახრელად და ცივ სამარის ამბორ საყოფად...

მოვლენ ისინიც კი, ვინც მის სიცოცხლეს უგნურობით თუ ბოროტებით არ აფასებენ

ჩვენ კი, იმით ვინუგეშოთ თავი, რომ ყოველივე დიდებული საქმე და დასაწყისი მხოლოდ იმ ნიადაგზე აღზრდილა და აღორძინებულა, რომელიც რჩეულთა წმინდა სისხლით გაპოხიერებულა!...

დღე უფრო ნათელია, ვიდრე ეგ ღამეს ჰგონია!

ილიას საფლავზე.

ერის ტაძარი ჩამოანგრიეს,
მოკლეს მგოსანი, ჩაქრა კანდელი,
მის მადლიან მკერდს ავაზაკებმა
ავაზაკურათ შეახეს ხელი!

—

შური და მტრობა, გველის ისარი
კარგა-ხანია მას უკან სდევდა,
აწ დრო უხელთეს: მოხუცი მკლავი
ვერავის პასუხს ვეღარ გასცემდა!

—

მაგრამ ნუ ფიქრობთ, მუხანათებო,
ვერ მიახწიეთ გულის წადილსა—
მოჰკალით ხორცი და არა სული,
ვერ აისრულებთ დანაქადილსა!

—

კვალად ფრიალებს იმისი დროშა,
კვლავ თავს ევლება ჩვენსა სამშობლოს!..
ოხ, ავაზაკო, მისმა სახელმა
ვინ უწყს რამდენჯერ შენ შეგაძრწოლოს!

—

ქართველო ხალხო, იტირე შვილი,
მაგრამ იმავ დროს მით ინეტარე,
შენი დიდება, შენი სახელი
გულს მიისვენე, უბით ატარე!

—

ბუნებავ ტკბილო, სამშობლო კერავ,
ამ გვარ შვილებსა რომ არ გვიზრდიდე,—
ტანჯული ერის ტანჯულ შვილებსა,—
მთლათ შეჰხუთავდა სულს სიწყვდიადე!

ი. ევდოშვილი.

ჩემის მონოლოგიდან.

ყველანი ფლიდები ხართ!.. ჭვარისევლობით!

მძლავრს ფეხ-ქვეშ ეგებით და ფეხის ნატერფალს ემბორებით!.. სუსტს კი სჩაგრავთ და ქვეყანას ატყუებთ: მათი მფარველები ვართო!..

ტყუილია!.. თქვენ უარესნი ხართ!..

სხვას ზნეობაზედ ელაპარაკებით და თქვენ კი, უზნეობისა გამო, ყელამდის ტალახში ივლობით და მაინც გაიძახით: სულით სპეტაკნი ვართო!

ცბიერნო! ნუ თუ ყველა თქვენებრ გაიძვერაა?

დიახ!.. ბევრი გულღრძუ ადამიანი ასდევს თქვენ ხმას. თვით ნაზ გრძნობიანი და სულით წმიდა ადამიანი თქვენს ზედ გავლენით ზნეობით ეცემა!..

მელები ხართ მგლის კბილებით, მაგრამ ბატკნის ქურქში გახვეულნი!..

ოჰ, რატომ დედამიწა არ შთანგთქავთ თვის უბსკრულში!..

მძაგხართ და ამიტომაც გგმობ თქვენისთანებს!

მტვრადაც ქცეულხართ!..

ბუნებარი.

მოჰკლეს პოეტი!

მოჰკლეს პოეტი! წუთი-სოფელს გამოასალმეს!
მურტალმა ხელმა არ დაინდო მისი ჭაღარა;
არრად აქცია მისი ღვაწლი ქართველ ხალხისთვის;
მხცოვან მგოსნისა, მოღვაწისა სისხლი დაღვარა...

—

ნეტავი რათა? რათ იმსხვერპლეს აგრე ილია:
ავტორი „კაკოს“, „აჩრდილისა“ და სხვა მრავალთა?!
რათ მოუსწრაფეს მხეცურადა მგოსანს სიცოცხლე,
სიკეთისათვის რად მოექცნენ ეგზომ ავათა?!

—

ვინ მხეცი იყო, რომ არ დასდო მოხუცს პატივი,
არ მოიგონა მისი მჭრელი კალმის წვერია?!
განა მე ძალ-მიძს ყოველივე ჩამოგითვალოთ,
რაც მას ქვეყნისთვის უშრომია და უწერია?!.

—

წყეულიმც იყოს მისი მკლავი, მისი მარჯვენა,
ვინც მგოსნის სისხლი აგრე ულვთოთ გზად დაანთხია,
ვისც ჩირად ულირს ერის წინ-სვლა, ერის დიდება,
და მუდამ შური, მუდამ ღვარძლი გულს უმარხია!..

—

მშვიდობით, მარად სახსოვარო, ჩვენო პოეტო!
არ დაგივიწყებს მომავალი—ქართველთა შვილი,
სანამ იქნება, იარსებებს ჩვენი მწერლობა,—
მუდამ დიდებით იხსენების შენი „აჩრდილი“!..

ა. გ.

ეროვნული ძალა.

დიდი რამ არის გრძნობა ეროვნული—სიყვარული თავის ერისა და ქვეყნისადმი. რა კი ხალხში ეროვნული აღფრთოვანობა და თვით შემეცნების ძალა გაიშლება და ფრთებს აღმართავს; რა კი ერთხელ ხალხის გულში აღიზნება დიადი გრძნობა თავისუფლებისა და თვითარსების განახლებისა იმის ჩაქრობა შეუძლებელი ხდება.

სურვილი თვით არსებობის დაცვისა, წყურვილი თავისუფლებისა და განახლებისა ხშირად ისეთს ძალას წარმოადგენს, რომ მისი გაქარწყლება ვერავითარ ძალმომრეობას ვერ შეუძლიან. ვერცა მთავრობა, ვერცა ჯარი, ვერც ვერაგული ხრიკობა ვერას გახდებიან თავისუფლების მოპოების წინაშე.

მართალია ნათქვამი—რომ ძალა აღმართსა ხნავსო, მაგრამ ეროვნული განახლების მძლავრი გრძნობა ფიზიკურ ძალ—ღონის წინაშე ათასგვარ გზასა და ბილიკს პოულობს, რომ თავისი გაიტანოს—კანონიერი სურვილი და უზენაესი უფლება არავის დააჩაგვრინოს.

ადრე თუ გვიან, ამა თუ იმ გზით, შელახული ეროვნული უფლება მიაღწევს თავის საწადელს:—ცხოვრების განახლებას, თავისუფლების აღდგენას.

მოჭორილ—მოგონილია ყოველგვარი ზღუდე ხალხის თავისუფლებისათვის, საჭიროა მხოლოდ რომ თვით ხალხში, მასსაში მის სულიერს ფსიქიკაში ღვივოდეს თავისუფლების იდეალი, ვითარცა პური ჩვენი არსობისა ხორციელი არსისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ილია ჭავჭავაძის ხსოვნას.

ილია! ქართველთ დიდებავ!
მამავ! მგოსანო დიადო!
სამშობლოს აყვავებისთვის
თავ-დადებულო... გულადო!
შენი სამშობლოს შვილების
გზისა მნათობო ბნელეთში;
მათვე,—ჟამს მზისა ამოსვლის,—
პირი გიბრუნეს ბნელეთში.
მაშ დაგიფასდა ღვაწლია?
განათლებულა ერია?!
თითქმის ასეა; მაგრამა...
ქვემძრომი ყველგან ბევრია...
შენს საყვარელსა ქვეყანას
მოჰფინეს შავი ზეწარი:
და დროშა აათრიალეს
ბნელი და შემარცხვენარი!..
ვგლოვობთ და ვგოდებთ ყველანი,
გულით ვქვითინებთ მწარედა!..
თითო-ოროლა მხეცთაგან
ქართლი კვნესოდა მარადა!—
მშვიდობით, ჩვენო პატრონო!
რა ვარ მე—შენ წინ ვგოდებდე...
„წილად გარგუნეს მიწა შენ“—
„კრულვა მათ ზეცით—მიწამდე“!

ნატალია გიგაური.

არწივი და გველი.

(არაკი)

მაღალ კლდეზე მჯდარ არწივს
მიუახლოვდა გველი
და უთხრა თავმომწონედ:
„აქ მოსვლა მეც შევძელი,
თუმცა, შენსავით, ფრთები
არ მასხია, ზედავო?..“
ფრინველთა მეფემ ზიზღით
უპასუხა: „ბედშავო,
განსხვავება ის არს,
რომ მე ამოვფრინდიო
და შენ... შენ-კი მუცელზე
ცოცვით ამოხოხდიო!“
უპასუხა და წამსვე
მძლავრი ფრთები გაშალა,
მაღლა-მაღლა აფრინდა,
ღრუბლებში მიიმალა;
გველმა-კი, შერცხვენილმა,
ერთხანს შურით უყურა
და კვლავ ძირს ჩასრიალდა,—
თავისს ხვრელს მიაშურა!..

დუტუ მეგრელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავადური სიმღერა.

(1 ნაწილი.)



„როცა მქონდა ფულები,
„ვჭამე მოხრაკულები!“

(2 ნაწილი).

„აღარა მაქვს ფულები
„ჩამოვყარე ყურები“!..

მარსელიეზა.

(რუჟიე დე ლილისა).

სამშობლოს შვილნო, უკან მომყევით,
უკვე დაგვიდგა დღე დიდებისა,
ჩვენზე მტარვალი აღსდგა მუქარით
და მან გაშალა დროშა ბრძოლისა!
გესმით მინდორში გამხეცებული
ბრბოს ხმაურობა, მისი ყიჟინა?
ცოლებს გვიღრჩობენ და პაწა შვილებს
ყელებსა სჭრიან მამების წინაშე.
(მიძახილი).
მოქალაქენო, ხელი ხმალს, წინ,
წინ მედგრათ მომდგარ მტერზედა,
წინ, სისხლით მოგვეცეს პასუხი
მტერმა ჩვენ ბრძოლის ველზედა!

—

მოღალატეებს, მეფეებს, მონებს
რა სურთ, რა უნდათ, რას გვიმზადებენ?
რკინის ბორკილებს ასე ურცხვათა,
ვისთვისა გრეხენ, ვისთვისა სჭედენ?
ჩვენთვის—ფრანგთათვის! რა საშინელი
დამცირებაა, სხვისთვის კი ლხენა,
თავისუფლებას მონობაშია
ნუ თუ ვივიწყებთ დღეს ისევ ჩვენა!
(მიძახილი).
როგორ, უცხო ერთ ჯარის კაცები
დაგვიწერავენ ჩვენ კანონებსა?
და დაქირავებულ ჯარის კაცთა ბრბო
ფეხ-ქვეშ გასთელავს ფრანგთა გმირებსა?
ოხ, ღმერთო, ნუ თუ მონის უღელ ქვეშ
თავს გავყოფთ წყნარათ შეუბრძოლებლათ
და მტარვალები სახლს წაგვართმევენ—
აისრულებენ ქვემუდან გრძნობათ?!
(მიძახილი).
თრთოდეთ, მხეცებო, სამარცხვინოა
ეგ თქვენი ქცევა, თქვენი ღალატი
და მალე დაჰკრავს გასწორებისა
თქვენს დასათრგუნეთ რისხვის საათი!
ვით ჯარის კაცნი ვიბრძოლებთ ჩვენცა
და თუ ვაჟკაცთა რაზმი გაწყდება,
სამაგიეროთ სამშობლო მიწის
წიაღიდამა სხვა წამოდგება!
(მიძახილი).
ფრანგო, გმირთ-გმირო, კეთილ-შობილო,
ყველას ერთგვარათ ნუ დაჰკრამ მახვილს,
შენ შეიბრალებ თვით უნებურათ
ჩვენზე წამოსულს, მონას ქედ წახრილს!
მაგრამ დაჰკარი შეუბრალებლათ
სისხლით უმაძღარ აფთარ-მტარვალებს,
დაჰკარი იმათ მედგარი მკლავით,
დაჰკარი იმათ მებრძოლ-მეგობრებს,
(მიძახილი),
სამშობლოს წმინდა სიყვარულო შენ
წინ გაგვიძეხი შურ-საძიებლათ,
და შენ, ძვირფასო თავისუფლებავ,
გვაკურთხე მტერთან შესაბრძოლებლათ!
წმინდა დროშის ქვეშ სამართლიანათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენ გამარჯვება გვწამს რომ დაგვრჩება,
დე დაინახოს ვერაგმა მტერმა
ჩვენი სახელი—შენი დიდება!
(მიძახილი).

ჩვენ კვლავ დავიწყობთ ახალს ცხოვრებას,
გაგვიწყდებიან მხოლოთ მამები,
მაგრამ, რომ გაგვწვრთნას მათმა დიდებამ,
ყიხილოთ მათი ჩვენ საფლავები!
უკეთესია სიკვდილი ჩვენთვის
არ დავივიწყებთ დიდებულ მამებს
„ანუ გავწყდებით, ან შურს ვიძიებთ“
და თამამათაც ავმართავთ მკლავებს!
(მიძახილს).

ი. ევდოშვილი.

ურედაქციო რედაქტორები.



ჩვენს „მშვიდობიან დროში“ იმდენი ჟურნალ-გაზეთები დაიკეტა, რომ რედაქტორ-გამომცემლები „უმუშევართა სიაში“ ჩაეწერნენ და ნაგვის გატანაზე მუშაობენ... აგრე სწარმოებს ჩვენში განათლების ხანა.

ერთი ჰალტოს ამბავი.

კვირა დღე იყო. სხვათა შორის მეც გოლოვინის პროსპექტზე დავხეტიალობდი და მოსეირნეთ ვათვალიერებდი.

რა ჯურის, რა მილეთის ხალხი გნებავთ, რომ აქ არ ყოფილიყო?!

ღმერთო, შემინდე შეცოდებანი ჩემნი, მაგრამ მათ მომზირალს სულ ერთიანად გადამავიწყდა, როგორც ჩემი სოციალისტობა, ისე ჩემი კოსმოპოლიტობაც და ჩემდა უნებურად ვბუტბუტებდი: „თუ ეს ხალხი როდისმე ჭკუას ისწავლის, ჩემი სიცოცხლე მტლედაც დასდებიათ-მეთქი“.

კაცი თუ ქალი, დიდი თუ პატარა უცნაურ მაიმუნებსა ჰგავდნენ.

ერთ კაცს თავზე წამოედგა არშინიანი ცილინდრი, ცალთვალა სათვალე გაეკეთებინა, ძვირფასი ტანისამოსი ჩაეცვა, ხელში წკეპლა დაეჭირა და ისე მოიკლაკნებოდა, გეგონებოდათ ცირკის მასხარაააო,—თუმცა შთამომავლობით ერთის ღარიბის ქართველის შვილი იყო. მას გვერდით მოსდევდა ვიღაც შლიაპოსანი. ღმერთს იგი, მგონი დედაკაცად უნდა გაეჩინა, მაგრამ ისე მოკაზმულიყო, ისე გათხუპნულიყო, ისე შეღებილიყო, რომ ადამიანისა აღარა დარჩენოდა-რა,—წამწმებიც კი გამოეკემსა. მკერდსა და თეძოებზე ვეებერთელა ბალიშები დაეწყო და მთლად მაცდურებათ გადაქ-

ცეულიყო. მათ უკან მოსდევდა უფრო სასაცილო წყვილი, ამათ—კიდევ უფრო უარესი და ხალხთა მთელი ეს გროვა—უკაცრავათ გახლავართ—მარტო ხვადებათა და ძუკნებათ მეჩვენებოდა.

მეც გავილესე, დავიკარგე ამ ბრბოში და ახლა ჩემ თავზე მეცინებოდა. ამ დროს უცაბედათ შევეფეთე ჩემ კარგ ნაცნობ დიმიტრის.

იგი მოდიოდა დაღვრემილი, გაფითრებული.

— ვახლავარ ჩემ დიმიტრის ასი-ათასი კაცი-თა-მეთქი!—შევუძახე და მოსეირნეებზე მივუთითე.

— ნეტავი გიჟი არ იყო!—მიპასუხა დიმიტრიმ და შეჩერდა.

— რა გუნებაზე ბრძანდები, ჩემო დიმიტრი?—კვლავ შევეხმაურე.

— რაღა რა გუნებაზე ვარ—დაიწყო დიმიტრიმ—კაცი დავბერდი და მაინც ვერ გამიგია: სადაა ჩვენში ან კანონი, ან სამართალი?.. დღეს კინაღამ არ დამატუსაღეს—ამ სიტყვებით მკლავში ხელი მომკიდა, ვიღაც სომხის სასახლის ჭიშკართან მიმიყვანა, წინ ჩამომიდგა და აღელვებულის, მაგრამ დაბალის ხმით განაგრძო:

„ჩემდა საუბედუროდ, შარშან-წინ ერთ ჩემ ნაცნობ ვაჭარს ნისიათ პალტო გამოვართვი... ჯერ ერთი კვირაც არ მეტარებინა, რომ ვიღაცამ დერეფნიდან მომპარა.

„სიბრაზისაგან დღე და ღამე არ მეძინა: მე წვრილ-წვრილად ყოველ-კვირა პალტოში ფულს ვიხდიდი და ჩემი პალტო კი სხვას ათბუნებდა.

„გადავწყვიტე: ყოველ კვირა-უქმე დღეს იარმუკაზე მევლო, იქნება ჩემი პალტო ვიცნა-მეთქი. მართლადაც, ერთ მშვენიერ დღეს, აკი ერთი ჩემი ნამეზობლარი არ შემხვდა? ტანზე ჩემი პალტო ეცვა. მაშინვე წავავლე ხელი ამ კაცს და პოლიციაში თავი ამოვაყოფინე.

— ვინ მოგცა ეგ პალტო?—დაეკითხა ბოქაული ჩემ პალტოს ქურდს.

— ვიყიდე...

— ვისგან, სად, ან როდის?

ქურდი დაიბნა და ბევრი აბდა-უბდის შემდეგ გამოტყდა, რომ პალტო ჩემთვის მოეპარნა.

„სიხარულით ფეხზე აღარ ვიდექ: ვფიქრობდი, ამ ჩემ პალტოს კი ახლავე გახდიან, ჩამაბარებენ და ქურდს კი ჯანდაბამდინაც გზა ჰქონია-მეთქი.

„ბოქაულმა პალტო მართლაც გაახდევინა, შესანახათ უბნის ზედამხედველს გადასცა, ქურდს ვირის აბანოში უკრა თავი და მე კი მითხრა:

— თქვენ შინ წაბრძანდით და პალტოსაც მალე გამოგიგზავნითო.

„გავიდა ერთი კვირა... ერთი თვე, მეორე, მესამეც. ჩემი პალტოსი არა ისმოდა რა.

„მეოთხე თვე რომ დაიწყო, უწყება მომიტანეს: გამომძიებელი გიბარებსო.

„ჩემს დღეში გამომძიებელთან არ ვყოფილვარ და გული ბუდიდან გადმომიფრინდა, მით უმეტეს, რომ ეს ოხერი მოძრაობაც ახალი დაწყებული იყო და ვიფიქრე, ხომ არაში გამრიეს-მეთქი.

„მოვიკრიბე მთელი ჩემი ძალ-ღონე და დანიშნულ დღეს გამომძიებელთან გამოვცხადდი.

— ეს პალტო შენია?—დამეკითხა გამომძიებელი და იქვე, სტოლზე მდებარე პალტოზე მიმითითა.

„მე ეს პალტო ავიღე, გადავატრიალე, გადმოვატრიალე, რაკი მეცნო გავიღიმე და ამაყათ ვუპასუხე:

— დიახ, ჩემია...

„გამომძიებელმა ჩაახველა, ოთახში შემოიყვანეს ის... ჩემი ქურდი.

— შენ მოიპარე ეს პალტო?—შეეკითხა გამომძიებელი იმ ჩემს დამღუპველს.

— გამიწყრა ღმერთი და რა ვქნა?!

— ძალიან კარგი!... გაიყვანეთ აქედან!.. უბრძანა გამომძიებელმა მხლებლებს. ქურდი მეორე ოთახში გაიყვანეს.

მე პალტოს წავეტანე.

— მოითმინეთ—შემომიტია გამომძიებელმა—საქმე ფორმალურად უნდა დაბოლოვდეს, პალტოს პოლიცია ჩაგაბარებსო.

„რაღა მეთქმოდა... უსიტყოთ გამოვბრუნდი.

„გავიდა კიდევ რამდენიმე თვე. პალტო არ მავიწყდებოდა, მაგრამ მისი დაბრუნების იმედი-კი აღარა მქონდა. უცბად სხვა გვარი უწყება მივიღე: ახლა სასამართლოში მიბარებდნენ.

„ხომ იცი, ერთი საწყალი წვრილ-ფეხა მოხელე ვარ, ჩემის უფროსისა ღმერთივით მეშინია... და მე არა მყავს კარგი და ნათლი დედა, რომ ვინმე ხათრი დამიჭიროს... თხის ღმერთივით დაველრიჯე ჩემ უფროსს, როგორც იყო რამდენიმე საათით დავეთხოვე და სასამართლოსკენ გავსწიე.

„სასამართლოს დარბაზი ხალხით იყო სავსე. წითელ სუფრა გადაფარებულ მაგიდას მოსჯდომოდა ერთი „პეტრუშკასავით“ დიდ-ცხვირა და ცალთვალა მსაჯული და გულზე ჯაჭვ ჩამოკიდებული, მიკიოტივით გამოიყურებოდა. მსაჯულის წინ, უბრალო ხის მაგიდაზე იდო ჩემი პალტო. მარცნივ კუთხეში იდგა ის... ჩემი ქურდი.

— შენია ეს პალტო?—როდის, როდის შეეკითხა მსაჯული.

— დიახ, ჩემია—მეთქი... წავილუღლუღე.

— შენ მოიპარე ეს პალტო?—შეეკითხა ქურდსაც.

— დიახ... გამიწყრა ღმერთი და რა ვქნა... უნდა მოგახსენოთ, რომ....

მოკლეთ ილაპარაკე!—გაუჯავრდა მსაჯული ქურდს—შენ სხვა ქურდობასაც გაბრალებენ: სხვა და სხვა ადგილას და სხვა და სხვა დროს შენ მოგიპარავს ქათმები, ინდოურები, ბატები, ღვინო... ერთი სიტყვით შენ ყოფილხარ პროფესიონალური ქურდი და ამიტომ შენი განთავისუფლება შეუძლებელია!—დააბოლოვა მსაჯულმა ქურდის გასაგონათ და დარაჯებს ანიშნა: გაიყვანეთ.

— თქვენ კი—მომიბრუნდა ახლა მე—წაბრძანდით სახლში და პალტოს მალე მოგართმევენო.

„ერთი კიდევ გადავხედე ჩემ პალტოს და... გამოვბრუნდი.

„გავიდა კიდევ რამდენიმე თვე და მხოლოდ გუშინ-წინ ჩემ ბინაზე მოვიდა ძალზე გალეშილი პოლიციელი და თვალების ბრიალით მითხრა:

— რას იმალებით? ეს სამი დღეა დაგეძებ,— ბოქაული გიბარებსო.

„შენ ხომ იცი, ჩემთვის ერთი სამსახურია და მეორე—სახლი. აბა სად უნდა დავმალულიყავ? პოლიციელს ალბად გადაჭარბებული ღვინო თუ ალაპარაკებდა... ეჰ, ჯანი გავარდეს, რაც იყო, იყო, მაგრამ მე კი გული გამისქდა. პალტოს ამბავი აღარც-კი გამხსენებია.

— ექსპროპრიატორი მე არა ვარ და „ჯგუფისტი“, რა საქმე უნდა ჰქონდეს-მეთქი ჩემთან ბოქაულს? გავიფიქრე და დასამშვიდებლად უიმისოდაც გამობრუებულ პოლიციელს ხელში აბაზიანი ჩავუდე. უქრთამოთ ხომ პოლიციელს თავიდან ვერ მოიშორებ?

„პოლიციელი ღიმილითა და ბარბაცით გამშორდა, მაგრამ მე კი იმავ დღეს ბოქაულთან მისვლა ვერ გავბედე.

„დღეს დილით, როგორც იყო გული გავიმაგრე და პოლიციაში წავედი.

„ცხვირ-დაწითლებული, რაღაც მუწუკებით დაფქული ბოქაული ქაღალდების ჩხრეკაში იყო და დიდ ხანს ვერ შემამჩნია.

„მეც ფიქრებში გავები. ვინ იცის რა ფიქრებს არ აღუძრავს ადამიანს ჩვენებური საპოლიციო განყოფილება?

— შენ აქ რათ მოსულხარ?—მოულოდნელად დამჭყივლა ბოქაულმა, მაგრამ მალე ხმას მოუკლო და განაგრძო:

— ჰო... ვიცი! თქვენთვის უნდა ჩამებარებინა თქვენი პალტო, მაგრამ...

— რა მაგრამ?—ველარ მოვითმინე და შევეკითხე.

— ის მაგრამ, რომ წუხელის ამ ოთახიდან სხვა ნივთებთან ერთად შენი პალტოც მოუპარნიათ!—შემიტია ბოქაულმა და გამტყუვნება მევე დამიწყო.

— შენი ბრალია, რატომ ამ ორი დღის წინად არ მოიკითხე.

— შე დალოცვილო!—ძლივ-ძლივობით შევკადრე—სამი წელიწადია მაწვალებთ და ამ დღეში [illegible] რაღაზე დამლუპეთ-მეთქი... რა დღესაც [illegible] ჩემი ქურდი, იმავ დღესვე მომცემდით იმ ოხერ პალტოს და ქურდს კი თქვენ გაუსწორდებოდით მეთქი.

— ჩუმად!—უარესად დამიყვირა ბოქაულმა— რა ნება გაქვს, რომ ჩვენ, მთავრობის წარმომადგენლებს, ჭკუას გვასწავლი... შენ უთუოდ რევოლიუციონერი იქნებიო!

„ამ სიტყვების გაგონებაზე ენა მუცელში ჩამივარდა. მუშტის ოდენად მოვიკუნტე. ოჩანი სახედარივით უკან-უკან დავიხიე, კარებში გამოვვარდი და შენ რომ არ შემხვედროდი და გული რომ არ მომეოხებინა, შიშისაგან იქნება ჭკუაზე შემცდარიყავი. განა ხუმრობაა ამ სიბერის დროს რევოლიუციონერობა დამაბრალონ?.. მადლობა ღმერთს, რომ პალიტოს მეც თან არ მიმაყოლეს!?.— ამოოხვრით დააბოლოვა დიმიტრიმ, ერთი ნაღვლიანად შემომხედა და თოფნაკრავივით გაბრუნდა.

მე ვიდექ გაოცებული და უანგარიშოდ ვიღიმებოდი. ამ დროს გამოიარა ერთმა ტიკინასავით აჭრელებულმა სატრფიალო არსებამ და მოღიმარი რომ დამინახა ეშმაკურად თვალი ჩამიკრა.. მე უფრო მწარად გამეცინა: ახლა მარტო დიმიტრი აღარ მებრალებოდა!...

ია. ეკალაძე.

26 აგვისტო, 1907 წ. ქ. თფილისი.

ამ ჩვენს დროში—

გინდა გახდე **ბიუროკრატი?**—
ჰკიცხე, ჩაგრე დემოკრატი,
თვით იყავი პლუტოკრატი,
აქე, ადიდე მთავრობა,
იჩემე გაუმაძღრობა,
თუ არ წაგიხდა ბაზროპა.
გინდა გახდე **მონარქისტი?**—
შემარცხენეს ჰკარი ქისტი,
აქე ტყვია, აქე ხიშტი,
მოუწოდე მომხრეთ ბერებს,
ღვთის მოციქულთ, ხალხის მტერებს,
ღენერლობას, სულ თეთრ წვერებს.
გინდა გახდე შენ **კადეტი?**—
«Чтобы Думою владѣти“,
თავს დაასხი ყველას რეტი
შენის ლამაზი რეჩებით,
ვინც არ მოგიხსენოს ქებ თ...
უთხარ:—სად, ვისთან ეჩრებით!?..
გინდა რო გახდე **ესდეკი?**—
მარკსის დოგმას დაადეგი,
(ჯერ) ჩამონაჭრებზე შესდეგი...
(მერე) მუნიციპალიზაცია...
მერე სოციალიზაცია...
ადიდე კონცენტრაცია!..
გინდა გახდე შენ **ესერი?**—
არ გწამდეს ლობე, მესერი,
არც კლდე-ღრე, არცა მეწყერი...
გასწიე წინ გაბედულათ,
და თუ ვინმე დაგხვდეს მტრულათ
არ მიიღო მეგობრულათ.
გინდა რო გახდე **ესფერი?**—
რომ კარგი გქონდეს ელფერი
უნდა გახდე ერთი ფერი!
მოშორდი საწერ მაგიდას,
სულ დაგიმძიმებს იგი ტანს,
დაემზგავსები მიკიტანს!
გინდა გახდე **ანარქისტი?**—
რაღათ გინდა ფარა, ბისტი,
ყველგან გიყვირიან:—„брысь-ты“!
ბაუძელი ჭირს, ნუ გეშის!
ალღო კი გაქვს კაი გერშის,
ხალხის იმედის, ნუგეშის!..

თომა პუსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრმა და ყრუ ბიუროკრატთა შორის.



— ისმის რამე მესამე დუმაზე
— ამბობენ წააგებენო!..
— გააგდებენო?
— მაგ რაზმელები გაიმარჯვებენო...
— დასაჯამენო?!
— დუმა მთავრობის მომხრე იქნება...
— სამოთხე იქნება?!
— რომ ვეღარ გესმის, რა გაგაგონო
— რომელი ბოგანო?
— ოჰ, შე უგვანო!..



ჩანჩქერის გალობა, ლორანი ქანდაკება.

ჯვარედინ გზაზე.



„მარცხნივ“ გამოურკვეველი ბურუსი, „მარჯვნივ“ საცაა მზე ჩავა და წყვდიადი გამეფდება! საით წავიდე!?

რედ.-გამომცემელი **ვალერიან გუნია.**

ელექტრომბეჭდავი ამხ. „ს ო რ ა პ ა ნ ი“ მადათოვის კუნძული, სახლი მუხრანსკისა, № 1.